სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-551

ქ. თბილისი

22.08.11

2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 ოქტომბრის №10/ნ ბრძანების ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, რექტორის 2011 წლის 19 აგვისტოს №01-3695 მინდობილობის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2011 წლის 2 სექტემბრიდან 8 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (უნივერსიტეტის კანცელარია, მის. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5).

2. მობილობის უფლების მქონე პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ორი ფოტოსურათი და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);

დ) ცნობა უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულებაში სწავლების შესახებ ფაკულტეტის, პროგრამის, სწავლის წლიური საფასურის ან/და გამოყოფილი სახელმწიფო გრანტის ოდენობის მითითებით, რომელიც გაცემული იქნება 2011 წლის 1 აგვისტოდან;

ე) ერთიანი ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

ვ) ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;

ზ) სოციალური გრანტის ან დაფინანსების სხვა წყაროს არსებობის შემთხვევაში- შესაბამისი აქტის დამოწმებული ასლი;

თ) უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ (ნიშნების ფურცელი);

ი) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში- აღნიშნული გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი;

კ) ბაკალავრის დიპლომის დამოწმებული ასლი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

ლ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;

3. რეგისტრაციაგავლილ პირთათვის კრედიტების თავსებადობის დასკვნების გაცნობისა და შესაბამისად უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს **2011 წლის 14 სექტემბერი.**

4. სწავლის გაგრძელების უფლების მქონე ის კანდიდატები, რომლებიც ამ ბრძანებით დადგენილ რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადებში არ გამოცხადდებიან უნივერსიტეტში, კარგავენ ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაევალოს, მიაწოდოს უნივერსიტეტის რექტორს 2011 წლის 15 სექტემბერს იმ პირთა სია, რომლებმაც ამ ბრძანების თანახმად გაიარეს რეგისტრაცია და გააფორმეს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

7. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე

ფინანსების ადმინისტრირების მიმართულებით

თეიმურაზ სამადაშვილი